

## პრობლემა, რომელიც უნდა მოგვარო

ადამიანების უმრავლესობა ქვეყანაში არსებული სოციალური პრობლემების მოგვარებას ხელისუფლებისგან, საზოგადოებრივი სექტორისგან, თუ საერთაშორისო ორგანიზაციებისგან ელოდება. თუმცა, თუ ჰკითხავთ რას აკეთებს თავად მისივე პრობლემების მოსაგვარებლად, ხშირ შემთხვევაში პასუხად კონტრ-შეკითხვას მიიღებთ - რა უნდა გავაკეთო?!

საზოგადოების ნაწილი საკუთარი შესაძლებლობების რეალიზაციას ვერ ახერხებს. ეს პრობლემა განსაკუთრებით აქტუალური, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებშია. ყველა დონეზე, ერთ-ერთ მთავარ სოციალურ პრობლემად უმუშევრობა რჩება.

### რა უნდა გააკეთო?

არსებობს რამდენიმე გზა. ერთის მხრივ, შეიძლება უმოქმედოდ იყო და ელოდო თავისით როდის დალაგდება შენს ირგვლივ სიტუაცია, ან თავად დაიწყო ზრუნვა მათ მოგვარებაზე. საქართველოში, უკვე არაერთი პრეცედენტი არსებობს იმისა თუ როგორ ცდილობენ და ახერხებენ სხვადასხვა ჯგუფები მათი პრობლემების მოგვარებას. მსოფლიოში ამის ერთ-ერთ საუკეთესო საშუალებად სოციალური მეწარმეობა ითვლება. კარგი მაგალითია „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მეწარმეთა დასაქმების კავშირი“. კავშირის წევრები სწორედ საერთო პრობლემამ გააერთიანა. ორგანიზაციის პროექტების მენეჯერი რატი იონათამიშვილი, თავადაც ეტლით სარგებლობს. ის მიიჩნევს, რომ დღეს საზოგადოების დამოკიდებულება ინვალიდების მიმართ ძალიან მძიმეა. ამიტომ, მათ თავად უნდა შექმნან წარმატებული ისტორიები მსგავსი სტერეოტიპების დასარღვევად. ამ მიზნით, კავშირმა სოციალური საწარმო "Geoshoes" შექმნა, სადაც დღეისთვის 10-ამდე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირია დასაქმებული.

### რატი იონათამიშვილი:

სოციალური მეწარმეობის განვითარება ქვეყანაში გულისხმობს ძლიერ სამოქალაქო საზოგადოებას და ეკონომიკას. ეს მომგებიანია ქვეყნისთვის. ის ჭრის მოწყვლადი ჯგუფების დასაქმების და სოციალური ინტეგრაციის პრობლემებს, აძლიერებს სამოქალაქო სექტორს. მაგრამ ეს მხოლოდ ორგანიზაციების საქმიანობიდან და საზოგადოების დამოკიდებულებიდან გამომდინარე, თორემ თავად ბიზნესის კომპონენტში ჩემთვის სოციალური საწარმო არ განსხვავდება სხვა ბიზნესისგან. ჩვენში, ხშირად ერევათ მიდგომები და სოციალური საწარმოს არასამთავრობო ორგანიზაციების კუთხით უდგებიან, არადა ეს არის ჩვეულებრივი ბიზნესი, რომელიც მოგებაზეა ორიენტირებული, განსხვავება მხოლოდ მოგების განკარგვაშია.

საამქრომ ფეხსაცმლის რეალიზაცია 2010 წლის მეორე ნახევრიდან დაიწყო. ამ პერიოდში შეკერილია 70 წყვილი ფეხსაცმელი, ხოლო რეალიზებულია 850 ლარის პროდუქცია.

მიმდინარე წელს 75 000 დოლარამდე შემოსავლის მიღებას გეგმავს „კოალიცია დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის“. ორგანიზაციამ, საკუთარ თავზე ასევე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დასაქმება აიღო. მათ სოციალურ საწარმოში 6 ასეთი ადამიანი მუშაობს. აღსანიშნავია, რომ ისინი სხვა ინვალიდებისათვის ყველგანმავალ ეტლს ამზადებენ. "კოალიცია" აქტიურად თანამშრომლობს სახელმწიფოსთან. იღებს სხვადასხვა დაკვეთებს.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ახალგაზრდების დასაქმებაზე ცენტრი „თანადგომა“ მუშაობს. პრობლემის მოგვარების გზად, ამ შემთხვევაშიც სოციალური საწარმოა არჩეული. ორგანიზაციამ მინი სასუვენირე-პოლიგრაფიული საამქრო დააარსა, სადაც სხვადასხვა შეზღუდვის მქონე 6 ახალგაზრდა ღია ბარათებს, სუვენირებსა და სხვადასხვა სასაჩუქრე ნივთებს ამზადებს. პროექტის ფარგლებში, ხელობა სმენის არ მქონე 15 ახალგაზრდამ აითვისა.

### **რატომ სოციალური წარმოება?**

„საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის" პროექტის მენეჯერის ზვიად მოდებაძის განმარტებით, სოციალური საწარმო, ერთის მხრივ, წარმოადგენს სოციალური პრობლემების მოგვარების ეფექტურ გზას და ამასთან, იგი ხელს უწყობს საზოგადოებრივი ორგანიზაციების ფინანსურ მდგრადობას.

### **ზვიად მოდებაძე:**

სოციალური საწარმო არის ამ სფეროში არსებული პრობლემების მოგვარების საუკეთესო გზა, ვინაიდან, მას ხშირად სათავეში ის ადამიანები უდგანან, რომლებიც თვითონ იმყოფებიან ამ პრობლემების წინაშე, საკუთარ თავზე აქვთ გამოცდილი და სხვებზე უკეთ ესმით საკითხის აქტუალობაც და სიმძიმეც. ამ ადამიანების მიზანი საკუთარი ფინანსური სარგებელი არ არის. მათთვის ყველაზე მთავარი სწორედ არსებული პრობლემების მოგვარებაა. ამასთან, შექმნილი ეკონომიკური კრიზისის ფონზე, სოციალური საწარმო საზოგადოებრივი ორგანიზაციების დაფინანსების ალტერნატიულ გზად და საუკეთესო საშუალებად იქცა. მოგეხსენებათ, სოციალური საწარმო საზოგადოებრივი ორგანიზაციისა და ბიზნესის ჰიბრიდს წარმოადგენს, და ისევე როგორც ნებისმიერ ბიზნესში, ბუნებრივია, აქაც არსებობს გარკვეული რისკები. ამდენად, მნიშვნელოვანია სოციალურ მეწარმეს ბიზნესის მართვის უნარ-ჩვევები გააჩნდეს. მოგების ძირითადი ნაწილი კი კონკრეტული სოციალური პრობლემის მოგვარებას მოახმაროს.

ამ ეტაპზე სოციალური მეწარმეობის თემის პოპულარიზაციაზე „სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი“, ევრაზიის თანამშრომლობის ფონდთან, ბრიტანეთის საბჭოსთან და სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტთან ერთად, აქტიურად მუშაობს. ტარდება ტრენინგები, გაიცემა კონსულტაციები. რამდენიმე სოციალურმა საწარმომ მიიღო გრანტი. ამასთან, საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრმა საინფორმაციო ანალიტიკური ვებ პორტალი შექმნა: [www.cse.ge](http://www.cse.ge). სადაც დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ დეტალური ინფორმაცია მიიღონ მათთვის აქტუალურ საკითხებზე, იქნება ეს, სოციალურ საწარმოებზე უცხოური გამოცდილებისა თუ ადგილობრივი გარემოს კვლევა, ინფორმაცია ტრენინგებსა და კონსულტაციებზე, მიმდინარე პროექტებსა და საგრანტო კონკურსებზე.

ჟურნალისტი სოფო ჯიაძე

საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი